

ქალაქ ბათუმის საკრებულოს
დადგენილება №

2025 წლის „ მარტი
ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №55 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 27/11/2024, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.132.016679) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი თავდგირიძე

თავი I

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	333,364.7	438,882.9	448,093.7		448,093.7
გადასახადები	102,991.5	114,232.4	121,066.8		121,066.8
გრანტები	134,000.4	185,980.6	232,423.9		232,423.9
სხვა შემოსავლები	96,372.8	138,670.0	94,603.0		94,603.0
ხარჯები	192,282.7	231,633.7	275,447.4		275,447.4
შრომის ანაზღაურება	37,636.0	43,183.6	55,977.3		55,977.3
საქონელი და მომსახურება	68,368.1	71,743.3	94,304.6		94,304.6
პროცენტი	4,488.7	4,768.3	6,082.5		6,082.5
სუბსიდიები	19,422.8	22,090.3	31,175.4		31,175.4
გრანტები	2.5	2.6	15.0		15.0
სოციალური უზრუნველყოფა	16,926.2	20,033.3	20,627.4		20,627.4
სხვა ხარჯები	45,438.5	69,812.2	67,265.2		67,265.2
საოპერაციო სალდო	141,081.9	207,249.3	172,646.3		172,646.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	109,649.7	136,530.5	224,702.0		224,702.0
ზრდა	119,741.9	144,589.1	237,702.0		237,702.0
კლება	10,092.1	8,058.7	13,000.0		13,000.0
მთლიანი სალდო	31,432.2	70,718.8	-52,055.7		-52,055.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	5,815.6	34,343.6	-92,906.3		-92,906.3
ზრდა	5,815.6	34,343.6			
ვალუტა და დეპოზიტები	5,815.6	34,343.6			
კლება			92,906.3		92,906.3
ვალუტა და დეპოზიტები			92,906.3		92,906.3
ვალდებულებების ცვლილება	-25,616.6	-36,375.2	-40,850.6		-40,850.6
კლება	25,616.6	36,375.2	40,850.6		40,850.6
საშინაო	25,616.6	36,375.2	40,850.6		40,850.6
ბალანსი	0	0	0	0	0

2. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	343,456.8	446,941.6	461,093.7		461,093.7
შემოსავლები	333,364.7	438,882.9	448,093.7		448,093.7
არაფინანსური აქტივების კლება	10,092.1	8,058.7	13,000.0		13,000.0
გადასახდელები	337,641.2	412,598.0	554,000.0		554,000.0
ხარჯები	192,282.7	231,633.7	275,447.4		275,447.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	119,741.9	144,589.1	237,702.0		237,702.0
ვალდებულებების კლება	25,616.6	36,375.2	40,850.6		40,850.6
ნაშთის ცვლილება	5,815.6	34,343.6	-92,906.3		-92,906.3

მუხლი 2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 448,093.7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
შემოსავლები	333,364.7	438,882.9	448,093.7
გადასახადები	102,991.5	114,232.4	121,066.8
გრანტები	134,000.4	185,980.6	232,423.9
სხვა შემოსავლები	96,372.8	138,670.0	94,603.0

მუხლი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 121,066.8 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
11	გადასახადები	102,991.5	114,232.4	121,066.8
113	გადასახადები ქონებაზე	45,782.1	50,579.8	48,000.0
1131	გადასახადები უძრავ ქონებაზე	45,782.1	50,579.8	48,000.0
11311	ქონების გადასახადი	45,782.1	50,579.8	48,000.0
113111-113112	საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	39,362.0	42,709.2	43,000.0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4,074.9	5,685.9	2,700.0
113114-113115	მიწაზე ქონების გადასახადი	2,345.3	2,184.7	2,300.0
11411	დამატებული ღირებულების გადასახადები	57,209.4	63,652.5	73,066.8

მუხლი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 232,423.9 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
13	გრანტები	134,000.4	185,980.6	232,423.9
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	175.6	334.1	202.1
1311	მიმდინარე დანიშნულების გრანტები	175.59	334.1	202.1
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	133,824.8	185,646.5	232,221.8
	<i>მიმდინარე დანიშნულების გრანტები</i>	<i>68,550.8</i>	<i>102,194.4</i>	<i>99,849.0</i>
133111	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან			190.0
1331112	მიზნობრივი ტრანსფერი			190.0
133121	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	68,550.8	102,194.4	99,659.0
1331211	სპეციალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	68,550.8	102,194.4	99,659.0
	<i>კაპიტალური დანიშნულების გრანტები</i>	<i>65,274.0</i>	<i>83,452.2</i>	<i>132,372.8</i>

133211	გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		128.6	31.8
1332119	სხვა ტრანსფერი		128.6	31.8
133221	გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	65,274.0	83,323.6	132,341.0
1332212	კაპიტალური ტრანსფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	65,274.0	83,323.6	132,341.0

მუხლი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 94,603.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	96,372.8	138,670.0	94,603.0
141	შემოსავლები საკუთრებიდან	13,865.9	13,628.3	7,053.0
1411	პროცენტები	10,775.9	11,193.6	4,617.0
14115	დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	10,775.9	11,193.6	4,617.0
1415	რენტა	3,090.0	2,434.7	2,436.0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	264.0	101.9	180.0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაფნობა და სხვა) გადაცემიდან	2,826.0	2,332.8	2,256.0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	67,967.1	79,698.9	76,050.0
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	67,567.1	78,953.4	76,050.0
14223	სანებართვო მოსაკრებლები	1,212.7	2,971.4	1,500.0
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	1,212.7	2,971.4	1,500.0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	1.6	1.3	
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	12.0		
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	62,070.2	70,141.5	68,000.0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4,038.2	4,806.6	6,000.0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	232.4	189.9	
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი		842.7	550.0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	399.9	745.5	
14232	შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	399.9	745.5	
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირაფნობა და სხვა) გადაცემიდან	399.9	745.5	
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	12,687.4	13,709.6	10,000.0
144	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	1,852.4	31,633.2	1,500.0

მუხლი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 275,447.4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
2	ხარჯები	192,282.7	231,633.7	275,447.4
21	შრომის ანაზღაურება	37,636.0	43,183.6	55,977.3
22	საქონელი და მომსახურება	68,368.1	71,743.3	94,304.6
24	პროცენტი	4,488.7	4,768.3	6,082.5
25	სუბსიდიები	19,422.8	22,090.3	31,175.4
26	გრანტები	2.5	2.6	15.0
27	სოციალური უზრუნველყოფა	16,926.2	20,033.3	20,627.4
28	სხვა ხარჯები	45,438.5	69,812.2	67,265.2

მუხლი 7. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 224,702.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 237,702.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	363.0	159.0	174.0
02 00	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება	85,208.8	108,507.9	179,697.5
03 00	ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება	15,043.1	18,317.8	25,188.9
04 00	განათლება	15,094.2	10,358.1	15,410.7
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3,343.6	5,405.1	14,332.7
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	14.4	154.4	34.3
07 00	ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება	385.2	249.0	1,070.8
08 00	მუნიციპალური სერვისების განვითარება	289.5	1,437.9	1,793.1
სულ		119,741.9	144,589.1	237,702.0

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 13,000.0 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	10,092.1	8,058.7	13,000.0
311	ძირითადი აქტივები	8.6	387.6	
312	მატერიალური მარაგები	551.1	22.9	
314	არამწარმოებლური აქტივები	9,532.4	7,648.2	13,000.0

მუხლი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 513,149.4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
7	სულ	312,024.6	376,222.8	513,149.4
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	24,203.6	26,174.5	40,008.1
7011	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	9,863.7	10,352.9	17,231.4
70111	ადმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	9,863.7	10,352.9	13,731.4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			3,500.0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	9,091.7	11,053.3	16,284.2
70132	საერთო დანიშნულების დაგეგმვა და სტატისტიკური მომსახურება	9,091.7	11,053.3	16,284.2
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5,248.3	4,768.3	6,082.5
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			410.0
702	თავდაცვა	12.9		
7025	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა თავდაცვის	12.9		
704	ეკონომიკური საქმიანობა	86,910.7	111,379.4	155,607.9
7045	ტრანსპორტი	85,950.0	109,986.8	154,304.9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	85,950.0	109,986.8	154,304.9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	960.7	1,392.6	1,303.0
705	გარემოს დაცვა	29,223.5	39,615.2	48,468.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	16,099.7	18,310.4	23,430.0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	13,123.8	21,304.8	25,038.3
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	66,318.7	83,583.4	115,506.1
7061	ბინათმშენებლობა	27,647.7	33,053.6	29,407.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	19,909.4	29,438.1	30,085.5
7063	წყალმომარაგება	780.3	7,206.8	37,595.1
7064	გარე განათება	7,842.7	6,944.8	7,327.8
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	10,138.7	6,940.1	11,090.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	6,942.4	8,583.2	9,825.8
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები	1,253.8	1,729.2	2,038.0
70711	ფარმაცევტული პროდუქცია	1,253.8	1,729.2	2,038.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	212.2	266.2	279.5

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
70723	სტომატოლოგიური მომსახურება	212.2	266.2	279.5
7073	საავადმყოფოების მომსახურება	888.9	1,140.9	1,223.6
70732	სპეციალიზირებული საავადმყოფოების მომსახურება	98.5	69.0	113.6
70734	სანატორიუმებისა და გამაჯანსაღებელი სახლების მომსახურება	790.4	1,071.9	1,110.0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	4,587.5	5,446.9	6,284.7
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	39,940.5	47,256.4	70,343.1
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	29,371.0	37,786.0	51,305.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	10,365.9	9,203.0	18,783.7
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	203.5	267.5	254.0
709	განათლება	39,736.9	40,069.9	54,591.3
7091	სკოლამდელი აღზრდა	39,590.4	39,894.9	54,376.3
7094	უმადლესი განათლება	127.0	130.0	170.0
70942	უმადლესი აკადემიური განათლება	127.0	130.0	170.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	19.5	45.0	45.0
710	სოციალური დაცვა	18,735.4	19,560.7	18,798.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	3,350.4	4,091.1	5,264.4
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	12,022.6	11,457.6	13,534.4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	3,362.4	4,012.0	

მუხლი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი საოპერაციო 172,646.3 ათასი ლარის ოდენობით:

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -52,055.7 ათასი ლარის ოდენობით:

მუხლი 10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -92,906.3 ლარის ოდენობით:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 92,906.3 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
32	ფინანსური აქტივების ცვლილება	5,815.6	34,343.6	-92,906.3
	ზრდა	5,815.6	34,343.6	
321	საშინაო	5,815.6	34,343.6	
3212	ვალუტა და დეპოზიტები	5,815.6	34,343.6	
	კლება			92,906.3
322	საშინაო			92,906.3
3222	ვალუტა და დეპოზიტები			92,906.3

მუხლი 11. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -40,850.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 40,850.6 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	-25,616.6	-36,375.2	-40,850.6
	კლება	25,616.6	36,375.2	40,850.6
331	საშინაო	25,616.6	36,375.2	40,850.6

ბ) განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2025 წლის ბოლოსთვის:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	ვალის ნაშთი 2025 წლის ბოლოსათვის
	ვალის საპროგნოზო მოცულობა	328,458.5
1	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - I ფაზა (KfW) *	34,868.6
2	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - II ფაზა (KfW) *	12,701.8
3	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - (KfW) *	7,604.5
4	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - III ფაზა - სანაღვრე (KfW) *	17,323.5
5	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW) *	54,120.9
6	ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურა - V ფაზა (KfW) *	154,431.4
7	მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში	43,707.0
8	ბათუმის ავტობუსის პროექტი (EBRD) *	3,700.8

შენიშვნა * - საპროგნოზოდ გამოყენებული (ვერო/ლარის) კურსი 1/2.9138; 12.11.2024წ.

თავი II

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები (ქვეპროგრამები) შემდეგი რედაქციით:

1 პრიორიტეტი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00) **1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამის მიზანი - ქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია ქალაქში საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც გულისხმობს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთათვის უსაფრთხო გადაადგილებას, მგზავრობის დროის დაზოგვას, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნას, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვას, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა; საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა; გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა და საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა;
- გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეთა შეუფერხებელი გადაადგილება.

1.1.1 გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 01 01; 02 01 04)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

- ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა.

1.1.2 საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა (პროგრამული კოდები 02 01 02; 02 01 05)

ქვეპროგრამა მოიცავს ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგზაო ინფრასტრუქტურის ერთიანი თანამედროვე სტანდარტის დანერგვას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

ქ. ბათუმში, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩის და ზღვისპირის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მშენებლობა;

- ქ. ბათუმში, რეჯებ ნიჟარადის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ენვერ ხაბაძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, გენერალ გიორგი კვინიტაძის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ნევრესტან შაშიკაშვილის ქუჩის კეთილმოწყობა;
- ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის (ყოფილი შარტავას გამზირის კვეთიდან მამია ვარშანიძის ქუჩის კვეთამდე, მათ შორის გენერალ ასლან აბაშიძის I ჩიხი) კეთილმოწყობა;

ხახულის II შესახვევის რეაბილიტაცია (ხახულის ქუჩიდან მამია ვარშანიძის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის N1-დან აეროპორტის გზატკეცილის N93-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობა ასლან აბაშიძის ქუჩამდე;

ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუმკინის ქუჩამდე, ალ. პუმკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია პეტრე ბაგრატიონის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე;

ი. ნონეშვილის ქ. N1-დან N6-მდე საავტომობილო გზაზე ტროტუარების მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის და ხახულის ქუჩების (ალ. სულაბერიძისა და მ. ვარშანიძის ქუჩების კვეთიდან ფრ. ხალვაშის გამზირამდე) კეთილმოწყობის სამუშაოები;

ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მაჭახელას ქუჩის კეთილმოწყობა;

ქალაქ ბათუმში, ოპიზრების, ტაოს და აკაკი შანიძის ქუჩების რეაბილიტაცია (ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ჭოროხის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კეთილმოწყობა ფრიდონ ხალვაშის გამზირიდან ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის №48-მდე;

ქიქავას ქუჩის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, ნ. გოგოლის ქუჩის (სერგი მესხის ქუჩის კვეთიდან ნ. გოგოლის და წმინდა დიაკონი სევერიანე აჭარელი აღმსარებლის ქუჩის კვეთამდე) კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მ. ლერმონტოვისა და ი. ჯავახიშვილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N10-ის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე ტროტუარის კეთილმოწყობა ნიკოლოზ ბარათაშვილის კვეთიდან კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის კვეთამდე და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე ტროტუარის კეთილმოწყობა ეგნატე ნინოშვილის ქუჩის კვეთამდე ;

ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის ქუჩა N57-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა

ქ. ბათუმში, სათნოების ქუჩა N1-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქ. N55-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (99 მისამართი) (2024-2025 წწ.);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (42 მისამართი) (2024-2025 წწ.);

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (59 მისამართი) (2025 წწ.);

ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქუჩის და ფიროსმანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, შალვა ინასარიძის ქუჩის და ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩის და გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა (მეორე ეტაპი);

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო გადაუდებელი სამუშაოები;

ქ. ბათუმში, შალვა ნუცუბიძის ჩიხების კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №109-დან აფსაროსის გზატკეცილი II შესახვევი №27-მდე დამაკავშირებელი ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა №39-41ბ-ს მიმდებარედ ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქუჩის, ქეთევან წამებულის I, II ჩიხების და გალაქტიონ ტაბიძის I ჩიხის კეთილმოწყობა;

მამია გოგოლიშვილის ქ. №30-ის მიმდებარედ ბეტონის გზის მოწყობა;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შექმნა- მონტაჟი;

პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება (2025-2026წწ.);

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;

1.1.3 გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 01 03; 02 01 06)

ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების სისტემის გაფართოებას და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფას, კერძოდ, გათვალისწინებულია:

გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი;

ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;

1.1.4 საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 01 07)

საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების შეკეთება, კერძოდ, გათვალისწინებულია:

არასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

1.2 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი - სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზება და მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ადამიანთა გადაადგილების სხვადასხვა საშუალებებს შორის, ყველაზე ეფექტიან ტრანსპორტადაა მიჩნეული. მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია საზოგადოების ეფექტიანი გადაადგილების უზრუნველსაყოფად. მაღალი სიმჭიდროვის პირობებში, როცა კერძო ტრანსპორტი იწვევს დატვირთულობას და ქმნის საცობებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემას ცალკე გამოჰყოფენ მისი შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მუნიციპალური სატრანსპორტო ქსელი წარმოადგენს ყველაზე იაფ გადაადგილების საშუალებას, რის გამოც საზოგადოების ფართო მასაა მისი მომხმარებელი. ყოველივე აღიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთვარი პრიორიტეტია სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება, რაც გულისხმობს თანამედროვე, ადაპტირებულ და საჭიროების მქონე ყველა პირისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ სატრანსპორტო სერვისს. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პარკირების სერვისისა და მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის მართვა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

- მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქის ქუჩებში მოწესრიგებულია სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობა და უზრუნველყოფილია შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.

1.2.1 მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კერძოდ:

შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო დეფიციტის დაფარვა);

"შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" მუნიციპალური მიკროავტობისის და ავტობუსების შეძენის თანადაფინანსება.

1.2.2 სატრანსპორტო სისტემის განვითარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქალაქის სატრანსპორტო მართვის სისტემების, ველო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კერძოდ: საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქში ჰკვიანი სატრანსპორტო სისტემების (ITS) განვითარება, ასევე, ველოგადაადგილების გენერალური გეგმით დასახული ველო ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ავტობუსების სპეციალური სავალი ხაზების გაუმჯობესება-გაფართოების ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის მიზანი - ქალაქში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა.

ქალაქის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. 2007 წლიდან მიმდინარეობს „ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტი“, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შეღავათიანი სესხით და ქ. ბათუმის ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. პროექტი გულისხმობს ქალაქის წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციას.

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;

- წყლის სისტემების რეაბილიტაცია;

- კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია;

- ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - რეაბილიტირებულია წყლის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება.

1.3.1 სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდები 02 03 01)

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია,

ლევ და მარია კაჩინსკების ქ. N35-დან ადლიის ქუჩის პარალელურად ადლიის ქ. N76-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩა №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, იოანე ლაზის ქუჩა №5ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩის №66-დან №68-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის IV ჩიხის სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის ქ. N47-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა (II ეტაპი);

ქ. ბათუმში, გაზაფხულის ქუჩის N15-დან თბილისის ქუჩის N62-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში, იბერიის ქუჩის N24-ის მიმდებარედ სანიაღვრე სისტემის მოწყობა;

ქ. ბათუმში შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს ბულვარში მდებარე ზღვის წყლის საქაჩი ძველი სატუმბო სადგურის დემონტაჟი და ახლის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ილია ჭავჭავაძის და პეტრე მელიქიშვილის ქუჩების კვეთაში სანიაღვრე არხის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის (სანიაღვრე სისტემები) სალიკვიდაციო სამუშაოები (17 მისამართი);

ქ. ბათუმში, კახი კავსაძის ქუჩა №23-25-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება №34-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება №35-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბრის ქუჩა №34ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის I შესახვევი №3-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი III შესახვევი №11-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თამარ მეფის გამზირი №61ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №113დ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის და ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა №44-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ბათუმგორის ჩიხი №16-ის და ბათუმგორის ქუჩა №33ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

მუსხელიშვილის ქ. №73-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

რუსთაველის ქ. №53-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

იოსებ გრიშაშვილის ქ. №17-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

მამია გოგოლიშვილის ქ. №81-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქსენია ბახტაძის ქ. №11-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

სერგი მესხის ქ. №53-ის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა;

აკაკი შანიძის მე-3 ჩიხი №3-5-7-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

1.3.2 წყლის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

ქ. ბათუმში, კახაბრის დასახლებაში სასმელის წყლის სისტემის და 300 კვ.მ. სამარაგო-საწნეო რეზერვუარის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა;

ქ. ბათუმში მდინარე ყოროლისწყლის დამბისა და წყალმიმღები კონსტრუქციის მშენებლობა;

ქ. ბათუმში, ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კვ.მ. წყლის რეზერვუარის მშენებლობა და ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა;

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი).

1.3.3 კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიება:

სარფის, კვარიათის, გონიოს, ახალსოფლის წყალარინების ქსელის (გრავეიტაციული და საწნეო მილების) და წყალარინების გადამქაჩი სადგურების, რეაბილიტაცია/მშენებლობა.

1.3.4 ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, კერძოდ ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დღგ-ს და სხვა გადასახდელების თანადაფინანსება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

1.4 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის მიზანი - ქალაქის საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით გაიმჯობესოს ან/და შეიქმნას უსაფრთხო და კომფორტული საცხოვრებელი პირობები.

პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებასა და ქალაქის ურბანულ ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - გაუმჯობესებულია საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო.

1.4.1 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 02 04 01)

ქვეპროგრამის მიზანია საერთო საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა. რომლის ფარგლებში განხორციელდება:

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სახურავები რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობისა და კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

1.4.2 საცხოვრებელი სახლების მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 04 02)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა.

ბათუმის მოსახლეობისთვის თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს შექმნისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის ღონისძიება;

ქ. ბათუმში ე.წ. „შანხაის დასახლებაში“ სოციალური სახლის მშენებლობა.

ქ. ბათუმში, სოციალური სახლის მშენებლობა.

1.5 მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05)

პროგრამის მიზანი - მუნიციპალური სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მოვლა-პატრონობაში აქვს 44.3 ჰა მუნიციპალური სასაფლაოებისათვის განკუთვნილი ტერიტორია, სადაც ხორციელდება, როგორც მოვლა-პატრონობის, აგრეთვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებები, სასაფლაოების პასპორტიზაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამა:

- მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია მუნიციპალური სასაფლაოების გამართული ფუნქციონირება.

1.5.1 მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 02 05 01)

ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ადმინისტრირება და მართვა;

უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვა;

1.6 ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 02 06)

პროგრამის მიზანი - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის დაგეგმვა, მოწყობა, მოვლა-პატრონობა, მშენებლობა-რეაბილიტაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალაქ ბათუმის სტრატეგიული განვითარებისათვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო;

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე მოვლა-პატრონობისა და განვითარების ღონისძიებები ხორციელდება შეუფერხებლად.

1.6.1 ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო (პროგრამული კოდი 02 06 01)

ქვეპროგრამის მიზანია - საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია და განვითარება, მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და კომუნალური საკითხების კოორდინაცია; სხვადასხვა ტურისტული ობიექტების მართვა; საქალაქო ინფრასტრუქტურის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ადმინისტრირება და მართვა; მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება.

1.6.2 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 06 02)

პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არსებული ავარიული სახლების ექსპერტიზა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა (ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერის პროექტების განხორციელების მიზნით); მიწისქვეშა კომუნიკაციების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; გზების, ქუჩებისა და ტროტუარების, საყრდენი კედლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; პარკების, მოედნების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ღონისძიებების ექსპერტიზა.

1.6.3 საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 06 03)

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ფარგლებში შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, ასევე ავარიული, სარემონტო ან/და დაზინებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებული მოქალაქეთა ბინის ქირითა და საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა.

1.7 ქალაქის კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამის მიზანია - ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა.

ქალაქ ბათუმში სათანადო ყურადღება ეთმობა ქალაქის სადღესასწაულო გაფორმებებს, რადგან აუცილებელია შეიქმნას ბათუმელებისა და ქალაქის სტუმრებისათვის სადღესასწაულო განწყობა. უკანასკნელ წლებში, ქალაქში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების წყალობით გაჩნდა გაფორმების ახალი, უფრო სრულყოფილი საშუალებები. მათი მაქსიმალური დატვირთვით შესაძლებელი გახდება ქალაქის სივრცის ოპტიმალური და ეფექტური გამოყენება სადღესასწაულო და საინფორმაციო თვალსაზრისით.

ქალაქში სადღესასწაულო გარემოს შექმნა, რომლის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
- ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - განხორციელებულია ქალაქის გაფორმების ღონისძიებები, შექმნილია სადღესასწაულო გარემო.

1.7.1 ქალაქის გაფორმების ღონისძიებები (პროგრამული კოდები 02 07 02)

სამოზაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

'სამშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმებისათვის საახალწლო მანათობელი კონსტრუქციების და სხვადასხვა მოწყობილობების შესყიდვა;

- 1.7.2 **ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდები 02 07 04)**
წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;
ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;
ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი.
ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

2 პრიორიტეტი: ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 00)

2.1 ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა. ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ

მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის განვითარებისათვის აუცილებელია მისი იერსახის ჰიგიენური და ესთეტიური მოწესრიგება, ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვა, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობისა და ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, ქალაქში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - უზრუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება

2.1.1 ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;
ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;
ნარჩენების გატანა;
ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება.

2.1 ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანი - ქალაქში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს უზრუნველყოფა, სარეკრეაციო და გამწვანებული ტერიტორიების გაფართოება.

ქალაქის მკვეთრი ზრდის ფონზე ჯანსაღი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც ერთიანი სტრუქტურის მიმართებაში, ასევე მისი ცალკეული ფრაგმენტების კონტექსტში. ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი სახის ქვეპროგრამები: პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა; ქალაქის გამწვანების ღონისძიებები; ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა;

- ქალაქის გამწვანების ღონისძიებები;

- ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი;

საბოლოო მოსალოდნელი შედეგი - ქალაქში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

2.1.1 პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (პროგრამული კოდები 03 02 01)

განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქ. ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი N374-ის მიმდებარედ არსებულ ნაძვნარში სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ძმები ნობელების ქუჩა N41-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

დაბა ჩაქვი, თამარ მეფის გამზირზე ს/კ20.48.02.068 სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N88 მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ფრიდონ ხალვაშის გამზირის მიმდებარედ, შანიძის ქუჩის კვეთიდან, ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩის კვეთამდე სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N7-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩა N6-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, გორგილაძის ქუჩა N54-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N47-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, გოდერძი ჩოხელის ქუჩა N45-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყეზიას ქუჩა N2-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, დიმიტრი სვიშჩევსკის ქუჩა N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის მე-7 შესახვევი N5ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბრის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩა N37-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ტბეთის შესახვევი N11-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N4-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, პარმენ რურუას ქუჩა N13-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სერგი მესხის ქუჩა N40-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N209-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა N165ბ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, რეზო თაბუკაშვილის ქუჩა N19-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, იოსებ გრიშაშვილის ჩიხი N4ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, თამარის დასახლება N6-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, კახაბერის ქ. N28-ში არსებული სპორტული მოედნის მიმდებარედ სკვერის მოწყობა ;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი III შესახვევი N1, N2, N4, N8-10, N14, N20-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩა N32, N34 და N36-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ნურეთინ ჩარმიქლოს ქუჩა N5-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის I ჩიხი N14-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, წმ. თევდორე აჭარელის ქუჩა N59-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, პ. ზაგრატიონის ქუჩა N28-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ი. მესხის ქუჩა N2ა-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა, N1ა-ში სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი II ჩიხი N5-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, ზაზა ფანასკერტელ ციციშვილის ქუჩაზე N3-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა

ქ. ბათუმში, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N32-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია

ცენტრალური პარკის დაცვა.

2.1.2 ქალაქის გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შექმნა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

2.1.3 ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი (პროგრამული კოდი 03 02 04)

მართვა ადმინისტრირება;

მცენარეთა კოლექციის, ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;

ეკო საგანმანათლებლო ღონისძიებები.

3 პრიორიტეტი: განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

3.1 სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საფეხურია. ბავშვს, რომელიც ხარისხიან სკოლამდელ აღზრდას გადის, გაცილებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს სკოლაში და შემდგომ. სკოლამდელ განათლებაში ინვესტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო ინვესტირება არა მხოლოდ ბავშვში, არამედ საზოგადოებაში. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. როდესაც ბავშვი სათანადოდ არის განვითარებული სასკოლო მზაობის კუთხით, იგი ბევრად უფრო წარმატებულია განათლების შემდეგ ეტაპებზე (სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი და სხვა) და ეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის ცხოვრებისეულ წინსვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უძლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება;
